# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№2632 2016 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

**„საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მდინარე დებედაზე, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ახალი ხიდის მშენებლობის შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებული ერთობლივი კომისიის ქართული მხარის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №1721 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მდინარე დებედაზე, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ახალი ხიდის მშენებლობის შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებული ერთობლივი კომისიის ქართული მხარის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №1721 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მდინარე დებედაზე, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის

სახელმწიფო საზღვრის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ახალი ხიდის მშენებლობის შესახებ“ შეთანხმების მე-10 მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული ერთობლივი კომისიის (შემდგომში – კომისია) ქართული მხარე შემდეგი შემადგენლობით:

**ირაკლი მატკავა** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

**კახაბერ გულედანი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**მაია ბითაძე** – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

**გოჩა ლორთქიფანიძე** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

**დავით ჯალაღანია** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

**ნუგზარ გასვიანი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

**ვახტანგ დათუნაშვილი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საზღვრის დაცვისა და კონტროლის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი, კომისიის წევრი;

**ვახტანგ ლაშქარაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

**ლევან მაჭავარიანი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი, კომისიის წევრი;

**გრიგოლ კაკაურიძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი, კომისიის წევრი;

**გიორგი ცინცაძე** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის მდივანი.“.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**